

საბუნების სკოლის უბნისა

1918 წ.—№ 2 კვირა, იანვრის 14 შანი 50 კაპ. წელიწადი შეეკვსე გამოცემისა

პ კ

ღვთისაო! ეს ქვეყანა
 შენი მხვედრია...
 მეოხებას ნუ მოაკლებ
 ამ ტანჯულ ხალხსა;
 რთოდ მიიღე სისხლი,
 იმელ ამ ხალხს უღვრია,
 კლთ სასოო, ნუ ააღებ
 მოწყალე თვალსა!
 ტანჯულა ეს ქვეყანა,
 ტანჯვად ეყოფა,
 ი ძალი დავრდომილსა
 კვლავ აღდგომისა,
 როგვანი განუახლე
 წარსულ ღღეთ ყოფა
 პაპური სული, გული
 მოჰმადლე შვილსა.
 მოჰმადლე ქართველს
 ქართველის ნდობა და
 სიყვარული
 აღუდგინე მშვენიერი
 ესე მამული!..

6085-1
F-5809



ნინო—ქართველთ განმანათლებელი
ქულეა ქასი
 შეიარაღდით ვაჟკაცნო,
 ხმალი აიღეთ ხელშია!
 სირცხვილი ვინც არ მიხედოს
 თვის მამულს განსაცდელშია!
 გ. ქუჩიშვილი

ლ რ ს კ

ღედაო ღვთისავ! შენი მხვედრია
 ეს საქართველო დიდ ჭირ ნახული,
 შეუნდევ ცოდვა, ნუა აღებ ხელს,
 ლმოზიერებით იბრუნე გული!..
 მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
 და გადმოსასე ძლიერად ჯვარი,
 რომ აღადგინო ქართველი ერი
 დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!
 ვისსა მხნეობას, მისსა ზნეობას,
 განუმტკიცებდე აღმაფრენასა
 და შენ საქებრად, სადიდებელად
 ნუ დაავიწყებ იმ ტკბილ ვნასა,
 რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
 ქეთევან მარად შენ გადიდებდა
 და ნინო ძისა შენისა მცნებას
 შენგან რჩეულ ვრს უქადაგებდა!

აკაკი





ი ა ნ ვ რ ი ს 1 4

ჩვენ ჩვენს ხელოვნებასაც ახალი **საქმეები**. ხანა უდგება.

საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან დაარსდა ცალკე სექცია ხელოვნებისა, ხელოვნებათა მთავარი საბჭო ვლ. გობეჩიას თავმჯდომარეობით.

წარსულ შავბნელ დროს ჩვენმა ხელოვნებამ, თუმცა უცხოთა ბატონობის გაურღვეველ მუხრუჭებში იწურთნებოდა დიდი სამსახური გაუწია ჩვენი ერის სულიერ-საზოგადოებრივ გათვითცნობიერებასა და აღორძინებას.

მაგრამ ეს დიდი დარგი დღემდე თითქო ცხოვრების გერად და ზედმეტ ბარგად იყო მიჩნეული.

დღეის ამის შემდეგ იგი სათანადო დონეზე უნდა დადგეს, განთავისუფლდეს უცხო გადამგვარებელ გავლენ საგან, მშობლიურ ძუძუს დაეწაფოს, მომქმედ მოღვაწე ხელოვანთა საქმიანობა ერთ გარკვეულ გზას გაჰყვეს, რომ ერთის ანაშენებს მეორე არ ანგრევდეს.

და უმთავრესად უნდა იყოს ყოველ გვარ პარტიოზის გარეშე, ყოველგვარ ჯგუფობრიობაზე მაღლა მდგომი, თავისუფალი.

გზა მისი ფართოა, დიდ-მნიშვნელოვანი და ყოველი ქემშარიტი ხელოვანი, ანუ ვისაც ხელოვნების პატივისცემა უნდა ეცადოს, ამ დარგის დახვეწვას, ამაღლებასა ერის საკეთილდღეოდ.

ქ ა ლ ი ს დ ე მ ი ა

რამდენად ჩვენი აწინდელი ცხოვრებაა ქალთა ნამოღვაწევის მხრით უფერული ანუ მცირედი, იმდენად ჩვენი წარსულთა ბუმბერაზ ქალთა მოღვაწეობით ბრწყინვალეა და დიადი.

ჩვენი ისტორიულ ქალთა სახელები თითქმის ყველას ენაზე აკვრია: ნინო, შუშანიკ, თამარ, ქეთევან, უკანასკნელად, როგორც ვაჟკაცურად მებრძოლნი გლეხის ქალნი ისევე თამარ, მარო და სხ.

თავისუფალ საქართველოში ქალიც სრული თავისუფალი იყო და ამიტომაც თავის ნიჭის სიმძლავრეს ყოველ ასპარეზე იჩენდა,—

ქალი მქადაგებელი—ნინო, მეოჯახე—შუშანიკ, ქალი მცფე—თამარი, ქალი—მინისტრი—თამარის თანამოღვაწენი, ქალი წამებული—ქეთევან, ქალი ვაჟკაცურ თოფ-ხმლით შეჭურვილი—გლეხნი თამარ, მარო და სხ.

თვალი გადაავლეთ ჩვენს წარსულს და იქ მრავალ ულამაზესს სახეს შენიშნავთ.

თვით სპარსეთის მბრძანებელ მეფის მშობელ-აღმზღელი ქართველი ქალი, როდესაც საქართველოში ქართველ მეომარს ისტუმრებდა, ხმაღს უკურთხებდა და ეტყოდა: სამშობლო საქართველოს სამსახური არ დაგავიწყდესო!

ასე იცის თავისუფლებით აღზდილმა სულმა.

ქართველი ქალი მეცხრამეტე საუკუნეში დაეცა და მას შემდეგ ფეხზე ვეღარ წამომდგარა!

მონად აქცია იგი, გააორქოვა, რასაც მოჰყვა ჩვენი ოჯახის დაღუპვა და მით მამულიშვილურ-საზოგადოებრივ გრძნობათა მიყუჩება...

გარეშე ქართველი ქალის აღდგენისა წარმოუდგენელია ჩვენი ქვეყნის აღდგენა.

ქართველმა ქალმა უპირველეს ყოველისა უნდა შეიგნოს თავისი მშობლიურ-მამულიშვილური და ადამიანურ-მოქალაქეობრივი მოვალეობა.

გასულ საუკუნის ხახგრძლივ მონობასა და მით გამოწვეულ ჩვენი ხალხის გონებრივ სიბნელეს მოჰყვა თანამედროვე ომი, რაშიც უფრო გააღვივა ველური გრძნობანი და დღეს საქართველოში თვით ქართველიც კი არ ინდობს ქართველს, მოყვასს, მოქმეს...

დაე, დღევანდელმა ქალის უდიდესმა დღეობამ—ნინოობამ კიდევ ერთხელ მოაგონოს ქართველ ქალს თავისი მაღა-

ლი დანიშნულება-მოვალეობანი ჩამორ-
ჩენ ლ, თითქმის წარმართ ერის წინაშე..

არავითარი პარტიულობა ქალთა
მოღვაწეობას ურთიერთობისგან არ უნ-
და თიშავდეს. ქართველი ქალის უდიდეს-
ი პარტიაა მისი წამებული, დღეს ოდ-
ნავ ხუნდებ მოხსნილი სამშობლო საქა-
რთველო და მის ამაღლებას გათვით-
ცნობიერებას, დაწინაურებას უნდა შეს-
წიროს ყოველი ძალა თვისი.

გარეშე და შინაური მტერი კიდევ
უფრო ემუქრება ჩვენს ქვეყანას და სა-
მშობლო ეძახის, სამშობლო ნორიანობს
ჩვენს ქალს სამოღვაწეოდ.

ქართველო ქალი! ნუ თუ შენ ბრ-
წყინვალე დღეობას მაინც არ იკითხავ:
ვინ ხარ და რა უნდა იყო?

იასებ იმედაშვილი

მეა ქალის

ჩვენმა ზარმაც დაპკრა, დებო!
და ჰა, დროა, გავიღვიძლოთ:
დღემდის მონა და უენო,
რომ ვიყავით დავივიწყოთ:

გესმით? მოძმე ჩვენ მიგვიხმობს,
მშრომელთ ჯგუფი ჩვენ გვეძახის;
დღემდის, ქალო, მონად მქნილო,
დღეს უფლება აღსდგა ქალის:

ჩავერიოთ მშრომელთ ჯგუფში,
ჩვენც ვიშრომოთ, ოფლი ვღვაროთ;
და მათ წმინდა დროის ქვეშა
ყველამ თავი მოვიყაროთ:

და მაშ, დებო, გავიღვიძლოთ
დღეს დრო-ჟამი მას გვაელოვებს,
ვაშა, ვაშა, ჩვენს წინსვლასა
ვაშა, ვაშა მუშა-ქალებს!..

თამარა გოგუაძისა.



აქლიანი გზა

1

შორეულ კაბადოკიდან მოგვევლინა ის
ობოლი მარგალიტის სხივები ჩაეკვესა
ტანჯულ - წამებულ ივერიის მთათა მწვერვა-
ლგბს და ოქროვან ზღაპრად ააღმასდა.

და იყო ღამე...

ბნელი... უკუნი ღამე...

მწუხარების შავი ფარვინა დაჰქათქათებდა
თავს სუედის სამყაროს...

არსით ისმოდა ხმა ცხოვრებისა; ხმა იმე-
დას, მოშავალისა...

არ ყოფნის საფლავს დაჰკვდომოდა ცივი
სუნთქვა, ყოფნის დუმილი...

და არ იყო რწმენა დიად მოძღვრის იესოს
მცნებისადმი...

ცოდვილნი გაუბოდნენ მას.

დაჰქმნიდნენ ბოროტ საქმეებს...

სისხლის მორვეი იდგა საქართველოს
ბრწყინავ წალკოტში...

შავი შორანი თავს დასჩხაოდა მშვენიების
მხარეს.

სიკვდილის სულთათანას უმღერდა მარადი
სობის მეფედღურე.

და არა სჩნდა აღთქმის ქვეყნის მოციხ-
კროვნი ვარსკლავი...

მხარე უშუქ - მოვლევარე კი ჯერ შორს იყო.

ნარ - ეკლით იყო მოფენილი ეს გზა სა-
ბედისწერო, გზა წამებისა...

2

და მოვიდა იგი.

მოვიდა ნინო წმიდა, ნინო განმანათლე-
ბელი ქართველი ერისა, „ქართველთა წმიდა
მოციქულთ სწორის ღირსს დედისა ჩვენისა,
ქალწული ნინო, გამთვითმცნობიჭრებელი, ღი-
რსთა მამათა ჩვენთა, რომელთა მოისრნეს სინას
და რაითას.

ის მოვიდა შორეულ ქვეყნიდან კაბადო-
კიდან.

და იქადაგა კაცთ სიყვარული და სათნოება
ტანჯულ - წამებულ ერს შოასმინა ძლევის

სიტყვა, სიტყვა მოშავალისა.

იესოს მოძღვრება, წმინდა მცნება ჩაუ-
ნღრგა, ასწავლა ძმური სიყვარული, პატი-

ვისცემა მოყვასისადმი და მოუწოდა სხ ვოსან
მხრისკენ, კეთილ მომავლისაკენ...

ნარ ეკლოვანი იყო გზა მისი.

ქაობებით და ჩვემძრომებით სავსე.

ხელთ ებურო წმიდა ჯვარი ვახისა, ემბლე-
მა ნუგეშისა და დიად რწმენისა

მოვლო მთა-გორები კეკელოც საქართვე-
ლოისა, მთის კორტობებზე აღმართა ჯვრები,
ს. დაც თავს უყრიდა მორწმუნეთ და უსახავდა
ძლევის აზრებს, სმენდა სიტყვას, სიტყვას
შევების სხივით დამწვარს...

და ერიც ისმენდა ქადაგებას, მომავლის
ღრმა რწმენით კ უღებოდა...

და მზე კრთებოდა ..

მზე ელვარებდა...

3

წმ. ნინოს მიერ ნაანდერძავმა სიტყვამ
ძლევისამ ღრმა კვალი დააჩინა ქართველი ერის
ცხოვრებაში.

ჯვარი მძიმე, ჯვარი წამებისა დიდხანსა
ზიდა კეკელოცმა ივერიამ...

და მრავალ-ტანჯული ქართველი ერი
აღსდგა...

კავკასიონის ქედზე მიჯაჭულმა ამირანმა
ბორკილები დააშხვრია და მჭექარ - იმედოვან
ხმას ასმენს მოელ მსოფლიოს...

ს. ტაიფუნი

ვით მოვილოცოთ?

ვით მოვილოცოთ ახალი წელი,
ან განახლება დრო და ჟამისა,—
ზოგან სიკვდილი, გლოვა, ნაღველი,
ზოგან სიცილი, ჭმუნვა შხამისა.
თუმც დამყარდება ქვეყნად სიმშვიდე,
და დაედება ტანჯვის საზღვარი,
და თავისუფლად ამოისუნთქავს
ხალხი მაშვრალი. სულ-განამწარი,
თუ აღიგვება სისხლის ღვრა, რბევა,
ოხვრი და კვნესა აურაცხელი, —
იე მაშინ ვეტყვი ჩემს თანამოქმეს
მომილოცინა ახალი წელი!...

დარია ასუქედინი



შ. ლვა დადიანი

ხელოვნებათა სექციის თავმჯდომარის ამხანაგად არჩ.

მისაღმება*)

და უხდა გითხრათ თქვენ დღეს ქართველმა მისახიბმა
საქართველოს ბირველ უნაგუნელ უნიღობაზე თქვენ
მოისმინეთ და თვით წარმოსთქვით პოლიტიკურათ
განბნობილი და სახემწიფოებრივად შემწიდრო-
ბული სიტყვები.


თქვენ სთქვათ ის დიდი სიტყვა, რომელიც
შეიძლება იგრძნობოდეს, მაგრამ უთქმელი იყო ჯერ.
გაერთიანებული და თავისუფალი საქართველო
და ვინ იქნება უფრო გრძნობს ამეტყველებული
უფრო აღფრთოვანებული ამ უამად თუ არ ხელაფანი
ქართველი ერის საზოგადოთ და კერძოთ ქართველი
მისახიბმა,

ხელაფანი ხომ თავის გრძობილებით ნაზი
დერწამია, ანუ ანკარა წყაროს ზედაპირი, რომელ-
საც ერთი სიოს ოდნავი გასრიალება არსევეს და
ზვირთს უჩქროდებს.

და აი დღეს აქამომდე თქვენს ხელაფნებაში,
საქართველოს შეიღნო, თქვენი ხელაფნება შეფ-
თავდა და ბორგავდა თავისებურად იმ ცუდი, ავზნ-
იანი ქარისაგან, რომელიც მთელი ქართველობის
ცხოვრებას თავს დასტრიალებდა,

თქვენი ხელაფნება საზოგადოთ და კერძოთ
ღვთის მოსავ კაცის ოჯახში ხატის წინ ანთებული
წმინდათ მომხარზავე თაფლის სანთელი, იწეოდა იმ
უშრეტი ცენტლით, რომ სამშობლო მოტეუებუდა,

*) საქართველოს ეროვნულ ყრილობის დასრულებისას
ქართველ მსახიობთა დასმ, ყრილობის მონაწილენი
წარმოდგენაზე დაჰპატივეს და შალვა დადიანის ბავით
ამ სიტყვით მიესალმა. რედ.





სამშობლო გათასხრებულნი სამშობლო დამონებული და გაიძახლდა ქართული თეატრი სანუგეშო თუზას: მაგრამ აღსდგეს ქართველი ერთი ამ შუადამის ჩვენს ძახილზეო.

გამოგვიჩვენა დრომა... და თქვენს თვალბეზე ვამჩნევდით სისარულის ცრემლებს.

მაგრამ აჲა.. დღეს.. მართლა რომ სპე-დნიერო დღეს.. ჩვენი თეატრალური, ბუტაფორიულ დროშის მაგონებად თვით თქვენ. ქართველი ერის დირსეულნი წარმომადგენლები, გამოიტანეთ სჯა-როთ, დაურბელებად წარბ-შეუხრულათ საქართველოს მართალი დროშა.

და გული ტოკავს სისარულისაგან ქართველ მსახიობის, კიდევ უფრო მისთვის, რომ მას სხვა ბევრთ შორის თამამად შეუძლიან გათხრასთ, რომ თქვენ ჩვენი შექმნილი ხართ.

მაგრამ დეე ამიერიდან თქვენ შეგვიქმენით ჩვენ. თქვენის ინტენსიურ ანსებობით უღამაზეს და სამართლიან სსხეებით თქვენის ცხოვრებისა გაგვისწარით ჩვენ ხელფანებს და

გაგვასახიერებთეუთ ეგ ლამაზი ცხოვრება. შორს ჩვენგან ამიერიდან ურკა, წუხილი, სეუდა დაკარგულ, დაქსაქსულ სამშობლოზე. ნუღა

იქნება ეს საგნათ ჩვენი ხელფანებისა. ანამედ თავისუფალს და ლაღს საქართველოს ექმნეს მომავალში თვით ხელფანებაც გასეწილის წმინდა, ანკარა რომელიც ამიერიდან გამოვალს შთას რუსთაველის მზიურობისაგან.

დეე ეს იყო მომავალში ჩვენში დასაბამი ხელფანებისა.

ჩვენ აქ.მდე მოვიტანეთ ჩვენის ტანჯვა წვაღ-ებით ერის ცრემლში განაბანი ხელფანება, მისი უსაიდუმლესი ზრახვანი

და ესაა რა კი ეოგელიეე უკვე სასეიმა, ცხადი და სჯარა,

ჩვენ თავს ვიხრით მშვენიერების დმერთის წინაშე გზა თავისუფალ ხელფანებს! გზა თავისუფალ საქართველოს!

იგი აღსდგა და თან მოაქვს, როგორც ზოლი-ტიკურა აღოჩინება საქართველოსი, ეკრეეე მისი ხელფანებისა.

მამ გაემარჯვით თქვენ გადამდგეულ ბიწველი ნაჯისა და გაუმარჯვოს მომავალ თავსუფალ საქართველოს სასელმწიფოს და მის ერს.

შალვა დადიანი

ს ა უ ბ ა რ ი მ ს ა ხ ი ო ბ თ ა ნ

ამ დღეებში ჩვენი თეატრის აწინდელი მდგომარეობისა და მისის მომავლის შესახებ ვსაუბრობდი ჩვენი სცენის დამსახურებულ, გონიერ და ნიჭიერ მსახიობ და სახალხო ტეატრის რეჟისორ კოტე შათირიშვილთან.

ჩვენ ში იხრებებს და იხიერებს არა მხოლოთ სახალხო თეატრი, არამედ მაღალი, მოწინავე საზოგადოების ქართული თეატრიც, მომიგო კ. შათირიშვილიმა: საქიროა მხოლოდ მუშაობა, მუშაობა და კიდევ მუშაობა. უპირ, ველეს ყოველისა, უნდა შესდგეს ამხანაგობა-რომლის წევრებადაც იქნებიან მსახიობნი, ავტორ-მთარგმნელნი, საქმის მწარმოებელნი, მხატვარნი და სხ. ერთი სიტყვით ყველა, ვისაც სცენასთან რაიმე კავშირი აქვს ყველა თვის მოვალეობა დანიშნულებას ასრულებს საერთო საქმის საკეთილდღეოთ: როგორც მსახიობნი, ისევე მხატვარნი, ავტორნი, პიესათა მთარგმნელნი, მიღებული პიესების გამხილველნი ბეჯითად და შეუჩერებლივ უნდა მუშაობდენ. ამხანაგობაში მიიღებიან უმთავრესად ახალნი ძალნი დამსახურებულთ მსახიობ რომ

როლებს მივცემთ ამივე დროს მისი მაგიერიც უნდა ამხანაგოთ, რომ ვინიცობაა უცებ მსახიობმა უარი სოქვა ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით, მაგიერმა შესცვალოს იგი. ამხანაგობა უნდა იყოს სასტიკი წესი დისიპლინა, არვის პიროვნება არ ბატონობდეს, გარდა საქმისა. უნდა შემუშავდეს ორგვარი რებერტუარი—დრამა და კომედია: ერთხელ რო კომედიაწავა, მეორედ დრამა.

სათეატრო დარბაზი უნდა იყოს დადა, უბრალო, ხოლო სცენა თანამედროვე სასცენო ტენიკის თანახმად ყოველმხრივ მოწყობილი

ნამდვილი თეატრი კლუბთან ვერ იხიერებს. საგანგებო დარბაზია საქირო, ნამდვილი ხელოვნების ტაძარი.

პირველ ხანად შეიძლება ისე დიდი შემოსავალი არ ექონდეს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს საქმე გაიზრდება.

საქმის სიყვარული, ბეჯითობა, მუყაითობა და, დამგრწმუნეთ, ჩვენი თეატრი უფრო მაღლა აიწიეს, და—მა ლა საყარელმა მსახიობმა კ. შათირიშვილიმა.

იოსებ არმათიელი



ქართული სპი.

დღეაკაცის სულში არის სიშვები, რომელნიც იღვიძებენ მამაკაცის გავლენით.

ტურგენევი.

როს ზათხული მიიწურა, შემოდგომა ფებს იღვავდა,
 მზე კი ისევ მოუსვენრად ფირუზ ტახტზე დაგოგავდა,
 ფერგადაკრულ მთის კალთაზე ქალი იწვა ფერ-მიმკრთალი
 მზის სხივებზე გულს ითბობდა, მზის ალერსით დამაშვრალი.
 ჰაეროვნათ შემოსილი, ვით პატარა თეთრი ია
 როცა სიოს საალერსოდ წოდნავ ტუჩი გაუშლია!
 ქალი იყო ისე სუსტი, ისე ნაზი, ისე კარგი,
 როგორც ზღვის პირს გარიყულო, ზღვის გულიდან მორცხვი მანჭი.
 სევდის ზაღში გამოზდილი, მარტოობით დაჩაგრული,
 ბევრი მწვავე დარჯი ჰქონდა ობოლ გულში დამარხული,
 მხოლოდ მზე კი ჰმეგობრობდა, მზეზე იყო მინდობილი,
 ხარბად ჰრეფდა სხივთა ალერსს, მზის სხივებით შემკობილი,
 და როს ერთხელ მარტო იყო, მეოცნებე — მონარნარე
 როს გადახრილს მზის სხივებით ფერს იცვლიდა არე-მარე
 ქალს ჰაბუკი მიეპარა, ღიმილთ კონა მიაყარა
 სხივ მოსილმა აღმჩქეფარემ, მას მიმართა: არა „კმარა,
 ჩემო კარგო, მარტოდენ განშორებით სიარული?
 მზის გიჟი ხარ! მზე შენ გყვარობს, მზის ალერსს ხარ დანატრული?!
 მეც მომხედე; მეც ვკაცონობ, მეც ვარ შეფე-შემძლებელი?!
 ჩემში ყველა მეტყველდება, თვით უგულო კლდე თუ ჭველი!
 რას არ ვიზამ ჩემის ცეკსლით?! ავადუღებ თვითონ ლურჯ ზღვას,
 ფერფლად ვაქცევ ყინულის გულს, გიშრატ, ქარვით უბრალო ქვას
 შემიყვარე და გაიგებ, თუ რა არი იგი, კარგი.
 დაიბრუნე სიხალისე, სული სევდათ დანაკარგი.
 შემიყვარე! და ვარდისფრად ჭადიშლდება ეს მიდამო!
 ნუ დამტანჯავ, ნუ ინებებ ცრემლით გრძნობა დავინამო;
 მე მომხედე! მეგნომ ის ვარ ვისაც ჩემად მოელოდი,
 მე ისა ვარ ვისაც უნდა დაემსხვრია გულის ლოდი.
 მენდე კარგო, მე წრფელი ვარ და ტანჯვაც მიქვს წრფელი-ანკარა,
 არ გეგონოს რო მიყვარდეს სიტყვის ხარჯვა წარა-მანა.
 შემიყვარე და გაიგებ უკვდავეზის წყაროს წყურვილს
 ამ მსოფლიოს საიდუმლოს, და სამშობლოს სევდიან ბურვილს
 ჩემი კოცნა ბეჭედია სილამაზის და სიცოცხლის,
 უკვდავია ვინც მე მიყვარს, უკვდავია ვინც მე მკოცნის!“



ვაჟმა ქალი მიიზიდა, ვაჟმა ქალი მიიკონა,
 ნაზი კოცნით და ალერსით მითვისა, დაიმონა.....
 და განშორდენ... მაგრამ ვაჟი ქალს თვალიდან არ შორდება
 მისი თლილი თითო სიტყვა მუსიკალობს, არა ცხრება.
 და წარმტაცებლობა დიდი აღმასებით მოკვდილი,
 იზრდებოდა დაღლილ გულში, ვით საღამოს ნორჩი ჩრდილი,

განვლო ჟამმა! უკვდავების, სავსე იყო მთლად ტაძარი
 ხელოვნების სამსხვერპლოსთან იღვა ქუჩუმთ დიდი ჯარი,
 მუჯამართი აკმევებდენ სურნელებას ნაზ საამურს,
 ჩანგის ხმაზე აკვენებდნენ დაობლებულ ტბის სალამურს,
 ფსალმუნს ჰქმინდნენ სილამაზის, ადიდებდენ თავის ღმერთებს,
 ღმერთებს წმინდა ხელოვნების, ცის და მიწის შემაერთებს.
 ქალი ჩუმად შემოვიდა, მოიკეტა მორცხვად კარი
 და სამსხვერპლოს შეუკეა სიყვარულის ნედლი პწკარი...
 მარიჯან

ქმის ქალს

საბრალო!..
 ვინ იცის, ერთ დროში როგორ გწყურო-
 და სიყვარული!..
 ვინ იცის, როგორ შეხხარადი პირველ
 სიყვარულს!..
 დღეს შენს თვალეში მწუხარება და ზიზღია
 გამოხატული...
 შენ კანონიერად გეზიზღება ხალხი, ცხოვ-
 რება, რადგან იმ ხალხმა მოგიწამლა მომავალი,
 იმ ცხოვრებამ დაგტანჯა და გტანჯავს დღესაც.
 შენ იცინი, მაგრამ ეგ სიცილი ცრემლზედ
 მწარეა...
 შენ იღიმები, მაგრამ ეგ ღიმილი მწუხა-
 რებაზე უარესია...
 მე შესმის შენი ტანჯვა სულისკვეთება...
 ყოფილთვის, როდესაც კი გვერდზე გა-
 მოგივლი, თავს ვლუნავ, მრცხვენინ შენი...
 მე შენს წინაშე დამნაშავედა ვგრძობ
 თავს, რადგანაც შენ ჩემისთანა მამაკაცმა გკრა
 ხელი და ჩავადლო ამ წუმბეში...
 შენი მომტყუებელი დღეს რომ დაგინახავს
 ხოლმე, დაგცინის, გაფურთხებს...
 როდის, როდის დადგება ის დრო, როდეს-
 საც ის შენს წინაშე, სიბრცხვილისან გაწით-
 ლებული, წამოდგება ბოდისის მოსახდელად?
 არასოდეს?!
 არა, მოვა დრო... მოვა!..

უღკვენო

ოღდა კობილიანსკაიასი
 (უკრაინულიდან)
 მე უღაბნო მირჩვენია.
 შორეულ, უსაზღვრო უღაბნოში, სადაც
 მზე მეტად ცხარეა, სადაც სიწყნარეა, სადაც
 ვერ პნახავთ არსებას, იქ მინდა ტირილი.
 იქ ვერავის თვალეხს ვერ ვიხილავ, ვერც
 დედის თვალეხსა, მგრძობიარე გულისას,,
 ვერც მამისას, რომელიც შევილის ბედნიერებ-
 ისათვის მზადაა უკანასკნელი სისხლის წვეთი
 დაჰღვაროს... ვერც ტლანქ, ცნობისმოყვარე,
 დღიურ კირვარამში ჩაფლულ ბრბოისას-ვერა-
 ვის ვიხილავ.
 სახეს ჩავმარხავ ცხარე მიწაში, და გავაგ-
 რიღებ ჩემი ცრემლებით-ვინემ არ გამიქარვებენ
 ჩემს უსაზღვრო გულის-წყუხილსა. მზე კი შეს-
 ვამს და შესვამს ჩემსა ცრემლებსა... მწყურვ-
 ალე მზე მწუხარებისა...

მარ. ხარსელი.

აღ. ნეკრელი





! თქვენი შინაშე !

თუ გეზღვის სსხე მთაგულს ველი, ან
 იტილიცო საყრდელი რაგვიცო
 ციხეცო თათარისი თათარისი

! თანამედიანი თათარისი
 თათარისი თათარისი
 თათარისი თათარისი


თათარისი


ათაგანად

რაგვი

! თქვენი შინაშე !

ხალხს გული, რომ სიმშობლოს
 აღარ ბუჯავს ბნელ-წყველიანი,
 ყვეს ქვეყნის, გულში იქავს
 მზე ბუჯავს ბნელ-წყველიანი,
 სველად ქება, აღარა მსურს
 თვლით ცრემლით დავაფიქვნი
 რადგან ვეღვა, ვეღვე სდგება
 ჩემი ტუფა საქართველო!





კირიონ კათალიკოსი და მიტროპოლიტი: დეონიდე თბილელი, ანტონ ქუთათელი და ამბროსი ჭყონდიდელი

ქორწილი

გაგრძელება. ის. ,თ. და ც. № 1

3

ია და ნათელა

ია (ხმა შეცვლით განგებ)

ქალო, შენთან მოვდივარ
მწუხარების ელჩადა:
უარს გითვლის აღმასხან,
ნუ მგულობო შენადა,
დღემდეც უქმათ მელოდდი,
სახლში იჯექ ბეგრადა,
აწ სნეა სატრფო სძებნეო,
ჯვარის დასაწერადა!

ნათელა (შეძრწუნებული, ელდა-ნაკრავი)
ვაჰმე, ოდით ბედკრულმა,
როდის უნდა ვიხარო!

ნუ თუ გრძნობამ მიმტყუნა,
ჩემი სულთქმა შენ ხარო?!
ნადელის ბუდეთ ვიქეცი,
დამხრა ფიქრის კიამა...
როგორ უნდა მიცოლოს
უცხოელმა სიამა... (შათქმით)
ვაჰმე, ჩემო აღმასხან,
შენთვის ვკვნესდი დღე-ღამე,
მზეო ჩემი სიცოცხლის,
ასე რისთვის მაწამე?! (წამოდის)
დასქკნა ჩემი ყვავილი,
ალარც მელის ლხენა მე,—
უშენობით, მიჯნურო,
ნუმც მიმზერდეს ზენა მე!..



ნათელა მატარა ბებუას ამოაძრახს და უნდა დაიფეს. ახ სეფს სტარებს და შეაჩვენებს.

ა (შინსკვ-შინსკვდავს)

ნუ თუ ველარ მიცანი,
მარად შენზე მლოცველი?!

ნათელა (დაკვირვების შემდეგ უცებ)

ღმერთო! შენ ხარ აღმასხან
(გადაკვირვების) ასე სიღან მოხველი?!

ნუ თუ შენ ხარ სიცოცხლეფ,
სინარულო გულისა,
აგრე როგორ იცვალე
სახე შენი სულისა?!

ა და როგორ შემოხვედი
დახშულ კარ-მიდამოზე? —
გენერალი მდარაჯობს
ყოველ ფეხის დადგმაზე...

ნათელა
ნუ თუ კიდევ გახსოვარ,
და ისევ გულს გყევიარ...
მიხარეს სკვითელს ეტრფისო,
არ სცალიან შენთვისო.

ა
უკუღმართმა ბედის წერამ
წარა-მარა მე მატარა,
ზოგჯერ მიზანს ამაცდინა,
ლადი შონას დამადარა,
ზოგჯერ უცხოს დამამოყვრა,
შოდმეს ვცნობდი ჩემად არა.
მაგრამ შენსა ტრფიალებას,
მუდამ ვფლში ვაჭარებდი,
უშენობით ჩემსა ყოფნას
ჯოჯობგთსა ვადარებდი.

ნათელა
მაშ რიღასთვის დამიფიწყე,
ტრფიალებს სხვისი იწყე?

ა
ღრო და ჟამი თხოულობდა
არვის ეცნო გულს ვინც მფლობდა.
განა გული დაგიფიწყებს,
ვისმეს შენ თავს ანაცვალემს!..
ვიდრე ვზე და შთვარე ბრუნავს,
ჩემი რწმენაც შენთვის ზრუნავს...
შენგან ესდენ დაშორებულს,
შენზე ფიქრით დამმარებულს,
მეგრევერ ცრემლი დამდენია,
მომღებია გულს გენია,

მითც სულით არ დავეცემოდნენ...
ტანჯვით ფფრო შენ და მფიქრებდა...
რომ ხვალ შენც მომეღხინა,
და ამ ფიქრით ვქროდი წინა!..

ნათელა

ხად იყავი ესდენ ხანი,
რომ ვერ ვცანი შენი გზანი?
შოვიარე მთლად სამყარო,
მსთან ჩვენი არე-მარე;
ყველა ხალხი შევისწავლე,
ვცან მათ ლხენა და სიმწარე;
იმერეთი, ამერეთი,
ქართლ-კახეთი და გურია,
სამეგრელო, აფხაზეთი,
ვისი მშობაც ჩვენ გეწყურია.
რაჭა-ლეჩხუმ და აჭარა,
ჩვენი სისხლი კვლავ ძმურია,
სომხითი და მთიულთ თემნი,
თუშ-ფშავეთი, ხეესურია.
ერთსა აზრსა ვაზიარე,
რომ ერთისა გზით ვიდოდგთ,
ურთიერთის ქირს და ლხინსა
თანასწორად გაეყოფდეთ...

ნათელა

შენ მაგ ფიქრებს ვადაწყვეი,
მე სიცოცხლე მიმწარდება,
ბრადიანი და უბრადო,
ყველა ერთად მიმძღვავრდება.
ნუ თუ ჩემი ნდობა, რწმენა
ისე უნდა დაინაცრას,
სული გაჰქრეს და გულშია
ტრფობის ვარდმა ვერ იხაროს?!

ა

ნათელა
შეთამ სთქვა: „რა სიცოცხ-
რასაცა ახლავს ბნელია?
ჩვენი ცხოვრება ჯერ კ
სწორე ხაზ გასავლელთა.
მამული ფეხქვეშ გვეცალკათა,
არა გვაქს ერთი პირია, —
უქონელ ხალხის ცხოვრება
მუღმივად გასაქირია.
ღრო მინდა, ჩვენი ცხოვრების
რომ გავლო მკვიდრი ხილია;
ერთ ღმერთს ვალოცო მოძმეთა
მოზარდობა და დილია!
სული მიიღტვის მოგნიქოს
სიცოცხლე არა ფლილია...

ნათელა უენს ლოდინში დნება გული,
განაწამებ-დადაგული!

იმედი და მოთმინება
გვირგვინია შომაველისა,
ვინც მოითმენ—სშოიგებსო,
სიბრძნე არის ძველი ზნისა,
დაე, ტანჯვის ემბაზში
სული იწრფინას, ეწამოს,
რო მით მომავალისა
დღე ბრწყინვალე გვეჩანოს!..
უშენოდა რას მარგებს
ქვეყნის ზურმუხტ ლაღები,
ანუ ზეცის მშვენება
მზე მთვარე-ვარსკლავები,
თუ კი გამირისხდება
ეგ ღვთიური თვალები:
შენ ჩემში ხარ, მე შენში
ურთიერთით მთვრალეობ!..

ნათელა შენი ეგე აღთქმანი
მექნება გზის ფონადა,
ოღონდ გვადრი, გენერლის
არ დამტოვო მონადა.

ეს ცოტაც მოითმინევი
და იყავი ფხიზლადა,
რომ მოყვრულად მოსულმა
არ დაგგჩხვლიტოს რბილადა..
დადგება დრო ჩვენთვისაც
აბიბინდენ იანი,
ჯანყ-ბურუსის სანაცვლოდ
დღე ვიხილოთ მზიანი!

(გამოჩნდება რუს გერენაჟი, ნათელა
ხეს მოეფარება)

რუს გერენაჟი (ასს) ვინ ხარ აქ ვის დატყებ,
თვალებს რაზე აცეცებ?!

ეს (ფანტურზე დასმულკებს)
ერთი ვინმე ყარბი,
მეტანდურე საწყალი,
ავ-კაცო ვერაგობითა
მიცრემლდება მე თვალი,
ბაღამ ნარეგ ხალხისთვის
სემღერა მაქვს, წამალი..

რუს-გენერაჟი (წერამით)
გასწი, აქ ნუ წანწალებ,
თორემ თავსა განანებ!.. (გაღას)


ნათელა (წინ გადმოვა)

ესი წინად გითხარი,
ეს ჯალათი ვინც არი,
მამის მეგობარია,
გული მისგან მკვდარია,
ჩემს სახლში ვარ ტყვედ ქმნილი,
გამქრალი მაქვს შე ძილი,
ვინძლო დროით მომნახო,
რომ დღე მწარე არ ვნახო.
ესი ჩემი სულისა,
ჭარღო წყლული გულისა,
ბგვრი მოვითმენია,
სევედის ლოზე გფენია,
ცოტაც მოითმინევი,
ვნახოთ უცხო დღენია...
აწ მშიდობით ნახვამდე,
ბედნიერ დღეს შეყრამდე... (მადის)
ვარდის ქანობას შულამ ცქერას,
გავქრებოდე, მიჩვენია,
რა თავს ვიხლი სიცოცხლედა
თუ კი ვეღარ მიღებია! (გაღას)

ნათელა მარტო

მრავალ წელი,
მწარედ მწველი,
შავ ფიქრების სამარეა,
ველი, ველი,
ცრემლთა მღვრელი
ჩემი ყოფნა მწარ-მღარეა!
ვაპ თუ გული,
დაწაღვრული,
ძველებურად არ ამღვრდეს
ვაპ, თუ რწმენა—
სულის ღებნა.
ჩიფერფლოს, დამინაცრდეს!
ვაპ თუ სრული
გაზაფხული
ვარდებით არ აიფურჩქნოს,
ვაპ, თუ კრული
მხნე ზულბული
ნაღველ-სევედით გაიფუღოს!
მარამ არა,
ცრემლი კმარა,—
მოპფრენს ჩემი შევატდენი,
რომ დამიხსნას,
ბედი გახსნას
და მიჩვენოს აწ სხვა დღენი!

მეფელეს ხადში (შესატკ იქნება)



მეორედ მოსვლა

გაგრძელება სხ. „თ. და ც.“ №1

ალექ. (ბაღშევიკის უფიჩის) დაიკარგე შეცვანო, შენა. რავე ალაგას დაგხვეია შარვალის და აპალონი ბიჩანს. შენ რა კაცი ხარ რა კაცი? ფუ თქვე კოციობას! ხალხნი არ მეგონა ვგ გასაწყვეტნი? სულ აქოთა აქაურთა.

გაბო დაანებე თავი, წავიდეს. ცოტა გიჟია ამ ქვეყანად, რომ ეგვეც მოემატა? ნათლია ლუარსაბი სად არის?

ალექ აქ იქნება, ბატონო, მაგრამ ვაი მაგის დღეს. სული შეუხუთეს, მაგ ციგნებმა, ვინ არ მოხეტეკება (შესძახებს) ბატონო ლუარსაბ! გაბო გეახლათ სოფლიდან, გამობრძანდით!

ლუარ (გამოყოფს თავს კარებიდან) აღარ არის ის ფედებელი? წავიდა? ვახ! მადლობა ღმერთს! ეგ სოციალისტი კი არა, ალა შამპად ხანის ელჩია დიდება შენთვის ღმერთო, ამას რას მოვესწარიო! გაბოჯან, შენ აქა ხარ? გამარჯობა შენი ქირიმე! (გადაესვენება) ძლივს კაცი არ ვნახე! ეხ მახლას! რა დროებას მოვესწარიო! დაჯექი თუ ძმა ხარ, შიამბე რა ამბებია ჩვენში? (სსდებან) იქაც აირია აგრე შონასტერი?

გაბო არა, ჩემო ნათლია, სოფელში შედარებით შეიღობიანობაა. ბატონები ჩვენ ვართ ეხლა იქ. აქ გლეხთა სიეზლიაო და დელეგატათ ამომირჩიეს. მომაკრეს წითელი ბანტი და კრებაზე მიმიწვიეს. ეგ რუსული კი ვერ გავიგე, რასა ლაპარაკობდნენ: ერთი ჩხუბი დავიდარაბა იყო! ზოგმა რა გვიჩია და ზოგმა კი რა! ვერაფერი ვერ გავიგე მაგათი, რა უნდათ, რა აჩხუბებთ... მაგრამ ამაგებს თავი დავანებოთ და ერთი მიბრძანეთ, როგორ ბრძანდებით ან როგორ უძღვებით ამ არეულობას?


ლუარ ნულა მკითხავ, ნულა ჩემო გაბო, თავში ტვინი აღარ მუშაობს. გონება მეკარგება! ჩამოვედი ქალაქში, ვსთქვი; ჩემ საქმეს გავაკეთეთ, შვალებს წამოვიყვან სოფელში ვიყიდი ყველაფერს, რაც საჭიროა სოფლისათვის. ვიფიქრე რაკი ძველი ჟამი არ გადავადრდა, იქნებ ახალმა გვიშველოს რამე მეთქი მაგრამ შენმა მტერმა ნახოს ის რაც მე ვნახე

და გადაშნდა. კაცო, როგორ და... ყველა მიბნა კკუაზე, აღარავინ არის! შეიღობი განუფანტური ცოლი კკუაზედ შემეშალა; მეეზოვე რვა მანეთს ძვირობდა, ეხლა რვა თუმანიო. მდგმური ფშლს არ მაძღვეს, ვაენი ვარო და ამ სახლს კი ათასი გადასახადი დაადეს, პური არ იშოვება ღვინო და შაქარი ხომ სულ არ იშოვება, ფულის მამატებას თხოულობენ. კაცო ეგ როგორ შეიძლება? ამ ფულს დაჯამაივებს რომ უმატებენ, ხომ დასცა რუსის ფულის მაზანდა.

გაბო. ეგ მიტომ ხდება, ჩემო ნათლია რომ ჩვენ მეთაურნი ცოტა გამოუცდელნი არიან, სიტყვით ლამაზნი და საქმეზე კი რომ მიდგება, მაშინ არის ხლაფორთი. ყველაფერში ეგენი არიან გასამტყუნარნი. ძველმა და მახინჯმა მთავრობამ ყველაფერი ძველი და მახინჯი დაგვიტოვა. ყველაფრის მოწესრიგება ხელად ვერ მოხერხდება. ყოველ ნათეს კარგი მოსავალიც მოუვა, მხოლოდ მოცდაა საჭირო.

ლუარ. რა ვეცი ძმაო, მე კი სული ამომადრეს. ეგ რაღაც საქალაქო არჩევნებიაო. მომკლეს რაღა პირდაპირ. ვინ არ მოდის ჩემთან, ყველანი ხან შემუქრებიან, ხან ბეკრ რამესაც მპიოდებიან. წელან ერთმა კინალამ თავი არ ვამიხეტქა, ნიკალაის სურათი რაზე ვიკილიათ. ეშსაკი მაგას! შენ კერძო მესაკუთრე ხარო და უნდა გაპროლეტარდო, ესე იგი მაწანწალა გახდო. კაცს მიშრომია, რამდენი ოფელი დამიდვრია, სისხლი გამიშვრია, პატარა სახლი ავაშენე, ორიოდე ვროშიც მოვაგროვე, შეიღობი დავზარდე, ისინიც საზოგადოებას შეეწიხლნენ და მე არ მინდა სიბერის დროს სხვისი მაყურებელი ვიყო. არა ყველაფერი უნდა წაგერთვას და შენ დარჩიო აგრე პირში ჩალა გამოვლებულიო, (გრემფემა მოუვა თვალები) კაცო! ამ ხალხს ღმერთიც კი დაავიწყდათ, პირჯარი მაინც გადიწერონ დალოცვილებმა, რა სწადიათაი რა სწადიათ თვითონვე არ ესით, ქვეყან-ს კი დუპავენ,

გაბო ეხ, დამშვიდდი, ჩემო ბატონო! ვინ უარყონს უარყოფს ყველა ამას? ბევრი უწესოება ხდება, ძალაან ბევრი, მაგრამ დროებითია. (შემოდის ფედერადისტა) ფედერ გაუმარჯოს ამხანიგებს!



ლუარ ვახ! კიდევ მოდიან? ქალო შენ რაღა გინდა ჩემგან?

ფედერ (განაგრძობს) გაუმარჯოს მიწის სოციალიზაციას! ძირს ბურჟუაზია! გაუმარჯოს მშრომელ ხალხს, გაუმარჯოს ავტონომიას, ვინაიდან ავტონომია მშრომელ ხალხისათვის უფრო საჭიროა, გადაგვარებული ინტელიგენცია მშვენივრათ გრძნობდა თავის ბუროკრატიობის დროს ჩვენ მშრომელი ხალხი კი დაბეჩავებულა იყო. ჩვენ ვართ სოციალისტ-ფედერალისტები.

ლუარ ჯანდაბას ჩამწერე რომინოს გენეროსიანი ბავდეთ, ხელად სოციალიზმი არ ავაშენო.

ფედერ კერძო საკუთრებაა შუღლის და მტრობის მეტს ერთმანეთში არათფერს სთესავს ეს უწმიდესი იდეა, რომილსაც ვქადაგებთ და რომლისთვისაც შევეწირებით: ჩვენი იდეა უჩვეულათ გაიმარჯვებს, რადგან მთელი რუსეთის ესერების ქვეყანაა, და ჩვენ ვართ მათი პირმო შვილნი! ხმა მიეცით ფედერალისტებს! (მიდის)

სგ. წერეთელი
[დასასრული შემდეგ ნომერში]



ანდრონიკა

სომეხთა ეროვნული გმირი და ჯარის სარდალი

მ ი ს ა ზ ა ძ ი მ ა ზ ა ლ ი თ ი

სომეხთა სიამავემ, ეროვნულმა გმირმა ანდრონიკამ თავის ერს მოწოდებით მიმართა — შეადგინეთ ეროვნული ჯარები და ფუძით დაგვიხმარეთ, რომ სამშობლოს განთავისუფლება დაგვიგვირგვინოთ. ამაზე სომეხთა სახელგანთქმულმა მგოსანმა ოგანეს თუმანიანმა ქვემოთ მოყვანილი წერილით უპასუხა


ქვირთასო ანდრონიკა!

სასტიკე მომენტის უამს ვეკლა ვაღდებულა ეროვნული ჯარები და სავარჯიშო რამ ვაჩინა შენთან რის მისხვერბლად ერის წმინდა ტაძარს, რომლით სობლოცო მშვიდობა და კეთილდღეობა დამუარდეს. მე ოთხი ვაჟა მუავს, რომლებიც ეროვნულ საბჭოს და თქვენ ზიარდათ გვემედობებინ და მისად არიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდონ სავარჯიშო სომეხეთის ბედნიერებისათვის! ჩემი ოთხი


ქალი კი ზურგში, სადაც და რომელ დაწესებულა ბაშიც უბრძანებთ დაუდალავად იმუშავენ. ამაზე. ძვირფასი ამ ქვეყნათ მე არა მომეძებნება რა ეგვლა ვაღდებულა ამ დროს დაქმნარს თავის სამშობლოს რითაც კი შეუძლია.

და ცხოვრების ქარტესაღში გამობრძმედილი, ტანჯვის ქურაზე გაჭედილი, სამშობლოსადმი დრმა სიყვარულით აღსავსე, მისი მოტრფიალე და ჩანგის მუღარავი, კიკდენი მაგ გმირულ-მადლიან შუბლს. მისზე, ვეკლავ შენთან გავინდეები.

ლასომეხი ამ მომენტის სიდიადის წამს, ვაღებულა დადოს თავის თავს ხარკი, და მეტ, სახლსოთ ვაღვიარებ. ვაღდებულა ვარ ეოვკლ თვიურათ ვაძლიო ჩვენ საერთო ხაზინას ასი მანეთი. შენი განუერკელი მეგობარი ოგ. თუმანიანი.



ოგანეს თუმანიანი
სომეხთა სახელგანთქმული მგოსანი



ჭიანჭური


ეს ისტორიული და მემკვიდრეული ხმინი საკრავია, ისუა გაგრძელებული აღმოსავლეთის ერთი შიკის, რომ ჯერ არაფითარი უწყება არა გვაქვს: მისი წარმოშობის, შემოდგომის ან რომელიმე უკის საკუთრების შესახებ...

ძველადგანა შედუღებული ერთმანეთში, ჩვენა ენებიც; მათში ჯერ ბუგია მუსიკის შესახებაც დაუსვენელი სიტყვები: მუღნი, ბარბათი, ჩანგი, აღდაგუნი ანუ არკანუნი (არდახა), სურნა (ზურნა) ბუკი და ნადაკების სახელებს, ასორულ, სმანსულ, არბულ, თურქულ, სომხურ და სხვა აღმოსავლეთულ უკების ისტორიულ წიგნებშიადა ვკითხულობთ... აგრეთვე ჭიანჭურის შესახებაც გვაქვს შენ ჩემობა)თუმც სხვა და სხვა სახელებს უწოდებთ), მაგრამ ზოგიერთ ხელაგნებისამებ ამასაც მსოფლიო სავრთოდ რიგინტადის სახელი გარკვეული...

ჭიანჭური ნამდვილი არაბთა სასულიერო საკრავია, ურამდისთაც მეჩეთში ნამაზს არ არდგენენ ხოლმე... იცია მოწამე არაბთა საწმინტების და მსხვილის ერთმანეთში გადახლართვა, შებოჭვა, შეკავშირებისა... მთელი არაბთა ისტორიაც სო რს საკანსხვ და მესხურული: ამინობის დროს ცაღ ხელში ვუკანსი, მეორეში მსხვილით მიმართავდენ მტ. იზნით ერთის მეორე, სჯული ამისათვის და ამი სჯული სათავისა... ნამაზის დროს, რადესაც აქ რას და სხვა ძველყის ნივთიულის ზედ შენახვის ნება არა აქვს; სამინი იარადი გო არ უნდა ჩამო- ისსნას... აქცე განუკრავთ და დარჯათა ვხუთავთ მსხვილს საწმინტებისათ... ჭიანჭური, არაბთა

ერთგული სამოღვაწო საკრავია და მისი წარმოშობის, რომელთანაც გავრტულდა აღმოსავლეთში...

საქართველოში ჭიანჭურის შემოდგმა, უნდა შეეწეროს: არაბთა ჩვენში სტუმრობის ხანას, რის შემდეგაც შედუღდნენ ერთმანეთში არაბთა და ქართველთა ხელაგნების სტილი... დიდი შოთას ქნარინ სო ამავც ტონზე მომართული... თუმც ერთ დროს განდგენილი იქმნა ჩვენში, აღმოსავლეთის ხელაგნება, მაგრამ იგი დიდ შეცდომად უნდა ჩიითვალდეს და ერთხელ და სამუდამით მივსდეთ, რომ საქართველო ეკუთვნის აღმოსავლეთს და თუ დღემდის ჩვენ გვისარკებდნია, ჩვენა შეზობულ უკების ხელაგნებით, მამ ავაუვა- თო იგი და უხლა ჩვენ ვასარკებდით ისინი, ჩვენ მაერ აღმოსავლეთულ აღმოსავლეთის ხელაგნებით...
 აღ. ოგანეზაშვილი



ალექსანდრე (ჭაჭია): იასონისძე აბეხაძე.
 ქუთაისის საანაწრო გინნაზიის მერვე კლასის მოწაფე, მოკლე ვადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დ. ჩხარში. 10 ნოემბერს. იგი იყო იშვიათის ნიჭით და ენერგიით დაჯილდოებული ყმაწვილი: მისი გონება და ძალღონე ყოველთვის მიმართული იყო ხალხის სასიკეთო საქმეზე; მან იკისრა დ. ჩხარში დაეარსებინა მუღმივი თეატრი და ამისთვის გასულ ზაფხულში დაარსა ჩხარში სათეატრო სახლის ამშენებელი კომიტეტი, აგრეთვე მისი თაოსნობით როგორც ჩხარში, ისე ქაზლობელ სოფლებში ხშირად იმართებოდა წარმოდგენები, სადაც ვითარცა გამოცდილი და მოზღნეილი სკენის მოყვარე, თვითონ მონაწილეობდა. ამ რიგად, სამი თვის განმავლობაში შეკრებილი იქმნა თეატრის ფონდის სასარგებლოთ ათას მანეთამდის და უღმობელ სიკვდილს რომ დეცლია ჭაჭიასთვის, ახლო მომავალში დ. ჩხარს ექნებოდა საკუთარი სათეატრო სახლი. საუკუნოთ იყოს ხსენება შენი სპეტაკო პირდგენებე ჭაჭია.
 გ. ფუღარია

ქართული ლატარია

როგორც მკითხველებს მოეხსენება შალვა დადიანი და სოლომონ ახვლედიანის ინიციატივით თეატრის ასაგებათ, მსახიობთა კავშირის თანხის გასაძლიერებლათ და ქართულ უნივერსიტეტის სასარგებლოთ მთავრობის ნებართვით მიმდინარე 1918 წ. გაიმართება დიდი მომგებიანი ლატარია სულ 5 მილიონი მანეთისა, საიდანაც ნახევარი მილიონი გაიცემა მოგებაში და დანარჩენი ხარჯს გარდა გაიყოფა ორად ნახევარი თეატრს და ნახევარი უნივერსიტეტს. თითო ბილეთი ეღირება 25 მ. მაგრამ ბილეთის ნაწილობრივ ყიდვაც შეიძლება, ამ გვარად მესხეთე ნაწილი თითო ბილეთისა ეღირება ხუთი მანეთი, რაც, რასაკვირველია, ჩვენს დროში ყველა სათვის ხელ-მისაწდომათ უნდა ჩაითვალოს. უდიდესი მოგება ამ ლატარიისა იქნება ასი ათასი მანეთი და სულ უმჯობრესი ასი მანეთი, -სულ იქნება ორასი ათასი მანეთი და ამათ შორის ორი ათასზე მეტი უსათუოდ მოიგებს.

ამ ლატარიის მოსაწყობად უკვე შესდგა განსაკუთრებული საბჭო და გამგეობა სამეფე დაწესებულება, რომელთა სახელზედაც ნებართვა აღებული. ამ გვარად საბჭოში არიან: კ. აკხაზი, ი. ბარათაშვილი, ნ. ერისთავი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი, და ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი ფინანსის კომისარი კ. მესხი.

გამგეობაში არჩეულნი არიან: თავჯდომარეთ ი. ლორთქიფანიძე, წევრებათ შალვა დადიანი, ბ. ქავთარაძე, ს. ახვლედიანი. მდივნათ მიწვეული ილ. ტყონია.

შემუშავებულია უკვე ხარჯთ-აღრიცხვა 130-დან 50 ათას მანეთამდე, რაიც უკვე დამტკიცებულია სამეფე დაწესებულებისაგან როგორც მკითხველები მიხვდებიან, ხუთ მილიონიან საქმის მოწყობისათვის მეტად მცირე ხარჯათ უნდა ჩაითვალოს.

ბილეთები ამჟამად უკვე იბეჭდება და თავის დროზე ცალკე განცხადებით უკვე ეცნობება საზოგადოებას თელი პირობები ლატარიისა.

ხელოვნების სექცია ✓

საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან უკვე დაარსებული ხელოვნების სექცია, რომელიც ამიერიდგან იქნება სამართოლოში მფარველი და ხელმძღვანელ ხელოვნების ყველა დარგის საქმისა. ხელოვნების სექციაში წევრებათ იმყოფებიან: ბალანჩივაძე მელიტონ, გაბაშვილი გიორგაძე სერგი, გობეჩია ვლად. დადიანი შალვა, იმედაშვილი იოსებ, კლდიაშვილი სიმონ, მაყაშვილი კოტე, ნიკოლაძე იაკობ, ფალიაშვილი ზაქარია, ქიქოძე გერონტი, შავარდნაძე დიტო, შენგელია-ქიაჩელი ლეო.

სექციის თავჯდომარეთ, როგორც ჩვენს ორგანოშიც იყო მოხსენებული, იმყოფება ვლ. გობეჩია, თავჯდომარის ამხანაგად არჩეულია შალვა დადიანი და მდივნათ ლეოქვენგელია-ქიაჩელი.

სექციამ შეიმუშავა საკუთარი დებულებანი და წესდება და ესლა ადგენს კანონ-პროექტებს ხელოვნების სხვა და სხვა დარგის შესახებ.



თბილისის ფოტა-თელეგრაფის ქართველ მოხელე-მოსამსახურეთა ცხოვრებაში იანერის შეიდი ღირს სახსოვარ დღედ უნდა ჩაითვალოს. ამ დღეს დაიწყო ეროვნულ-კულტურული მუშაობა საკუთარ მოწყობილ კაპონა სცენაზე. სცენა მოწყობილია ფოსტის მთავარ სადგურის ქვედა ნაწილში. წარმოდგენასაღამო სამი განყოფილებისაგან შესდგებოდა. წარმოდგენის დაწყებამდე ფ. ტ. ქ. მოხელეთა კულტურულ კავშირის თავმჯდომარემ მათე იანქოშვილმა მცირე სიტყვით მოულოცა დამსწრეთ დღესასწაულები, დღევანდელი დღე და ქართველ მოხელეთა ეროვნულ-კულტურული შეკავშირება. შემდეგ ამავე კავშირის დავალებით თ. ნასიძემ წარმოსთქვა ფრიად შინაარსიანი სიტყვა თანამედროვე მდგომარეობაზე, რუსეთში მცხოვრებ არა რუსებზე, რევოლიუციის მოსწრაფებაზე, საქართველოს ყოფა-ცხოვრებაზე და ყოველი ქართველის მოვალეობაზე სამშობლოს წინაშე. სიტყვის დასასრულ მოუწოდა ყველამ შეკავშირებით ვიმუშაოთ ჩვენი ეროვნულ-კულტურ. დასაწინაურებლათა. მოზღენილათ წარმოდგინეს ერთმომქმედებიანი კომ. ვ. ბალანჩივაძისა უბედური დღე, რომელშიაც მონაწილეობდნენ: ქ-ნი: გუდიაშვილი, სვიმონიშვილი; ბ-ნი: სულთანისვილი ქანთარია, ქრისტინოვი, ტანისამოსი, გრიშვი, მომზადება შესაფერი იყო. განსაკუთრებით სულთნიშვილი და ქანთარია ცოცხლად ასრულებდნენ როლებს, დანარჩენთ თითქო ვაბედულება აკლდათ, მაგრამ უეჭველი სასცენო ნიჭი ეტყობოდათ მომავალში უეჭველია საპატიო ადგილს დაიკავებენ ახალხო სცენაზე. მესამე განყოფილებაში მათე იანქოშვილმა განასახიერა ცოლის დალატით შეშლილი (რუსედ ყოველ მის მიმხვრასა და სიტყვას ნიჭი ეტყობოდა) დამსწრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შემდეგ განყოფილებაში გაიმართა დივერტიმენტი. ლექსები წაიკითხეს: დონლაძემ (ხალხური და საკუთარი), ლობაშვილმა, ქ-მი მესხიძემ (ილიას ლექსები), სულთანისვილმა (საკუთარი), მ. იანქოშვილმა (აკაკის ქრისტე აღსდგა). თ. ნასიძემ — ამაყი სული საკუთარი მინიატურა თარზე, მეთარემ მშვენივრათ დაამღერა: მთელი ვრის მარჩენელი გლეხკაცია, მიწის მუშა და რამ დაგაშრო შეოხნო ღარიბების ბედის წყარო! ერთმა მოხელემ მთელი დახტა ხელნაწერები გამოიტანა, ეტყობოდა საკუთარი ნაწერები იყო. მაგრამ რომ არ წაეკითხა ვრჩინა: დამსწრეთ ტაშმა გაახუმა! მათე იანქოშვილმა ბეჭდი აცინა და ასიამოვნა დამსწრენი დაკვრა-საუბრით. შემდეგ განყოფილებაში ჩიტო ქურთიშვილის ლოტბარობით შემდგარმა ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილმა ფო-



სტის მოხელეთა გუნდმა მშვენივრად იმღერა, რის გამოც დამსწრეთ ტაშით დააჯილდოვეს, დაბოლოს მეგრელთ მცირე გუნდმა დაამღერა მეგრულად და ცეკვა გაიმართა. ყოველივე ამას სიამოვნებით აღვნიშნავთ და ვუსურვებთ ქართველ მოხელეთ უფრო მეტს ეროვნულ საზოგადოებრივ გათვითცნობიერებას და წინსვლას.

ი—ლი

თბილისის გუბერნიის ქართული სახალხო სკოლებისათვის საჭირონი არიან მასწავლებლები. მსურველთ განცხადება საჭირო დოკუმენტებითურთ უნდა წარადგინონ სკოლების მმართველ კომისიის ში (ნიკოლოზის ქუჩა № 45-47)

მგოსანი ზ. ქუჩიშვილი დღეს იანვრის 14, ქართულ კლუბში დილას მართავს. დილა დაიწყება შუადღის 12 საათ. შინაარსი: ლექცია, დეკლარაცია, მუსიკა

შეცდომის ბასწორება. დ. ნახუცრიშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ იგი წევრია ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისა და არა სოციალ ფედერალისტთა პარტიისა, როგორც გამოცხად. გვქონდა „თ და ც“ 45

სახალხო თეატრის არსებობის 25 წლის შესრულმბის სახსოვრად ამ თეატრის ერთმა დამფუძნებელთაგანმა ი. იმ-მა დასწერა ერთმოქ პიესა: „გზა-უვალზე.“ პიესაში გადასურათებულია პირობები წარმოდგენის პირველი დღე, სცენის მოწყობა, რეპეტიცია და მისი მონაწილეები.

ქართული თეატრის სააღმშენებლო კომისიას ეროვნულ სახალხო თეატრის დასახელებით, გადასცეს 50000 მან. ლატარიის ბილეთები.

ივანე როსტომი და **საბოლოო** ჯავახეთის დედა ქალაქ ახალ ქალაქის მშენებლის დირექტორად დაინიშნა.

მისტიკური ვალთი თამარა წერეთელი—ყიფინიანის სახელობის (ზემო იმერეთი შორაპნის მაზრა) სამკითხველთა ერთი წლით გაუწერა ჩვენი ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ მისმა მეუღლემაც ვარდენ ყიფიანმა ასი მანეთის წიგნები და ჟურნალები შესწირა **ანომ** (ი. რ. ვაჩანაძემ) გადმოაკ. პოლონ. მწერლის პრევილსკის ოთხ მოქმედებანი კომედია „დოკლაპია ქარაფშუტები.“ პიესა გადაეცა მსახიობთა კავშირს.

ვისაც სურს ჟურნალი შეუჩერებლივ ეგზავნებოდეს. დააჩქაროს ხვედრიფულის გამოგზავნა.

ქნარმა შემოიტანა 25 მ. ვერის სამკითხველს სასარგებლოდ. შემომწირველთა სიას შემდეგ დაგებუდავთ.

შემომწირველები

„თეატრი და ცხოვრების“ ფონდის სასარგებლოდ მივიღეთ:

- ივანე ზოსიმეს ძე ქორჩილავასგან 25—მან.
- ელენე პორფირის ასული თვალავაძისგან 20 მან.

შემომწირველთ გულისთად მადლობას ვუძღვნიათ. რქდ.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის

შეპარგულ თაინსუალ სკოლასთან თაინსუალ სპარტოვლი!

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის ერთად ერთ სათეატრო, სახელოვნო, სამხატვრო, სმუსიკო, სამწიგნობრო საზოგადოებრივ შინაარსის პროგრესიულ-დემოკრატიულ უპარტიო სურათებიან იუმორისტულ განყოფ. ჟურნალზე



ვალიშავი იმედაშვილი 1918 გამოვა იმავე პროგრამით, როგორც გასულ ხუთი წლის განმავლობაში ცნობილ დასაუკეთესო თანამშრომელთა მონაწილეობით

შუკნალი ღირს: წლიურად 15 მან, ნახევარ წლით 9 მ. რომლის გარდახდა ნაწილნაწილდაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 10 მ. აპრილის დამლევს 3 მ, დანარჩენიც მარიაშობის გასულს.

ხელის მოწერა შეიძლება თბილისში რედაქციაში ლექს ბადის პირდაპირ, ძველ მეწიგნეთა რიგზე, ხაზინის თავში, ბაზრის ქუჩა სახლი არჯევანიძისა № 20) ფოსტით: Тифлис ред. „ТЕАТРИ ДА ЦХОВРЕБА. Иосифу Имедашвили

შენიშვნა: ჟურნალის გაწერვის მსურველთ ვთხოვთ დროით დაიკეთონ, რომ მისამართების ბეჭდვა მოვასწროთ. ძველმა ხელის მომწერლებმა ძველი მისამართის ნომერი გვაცნობონ.

რედაქტორ გამომცემელი იოსებ იმედაშვილი

ქართული კლუბი

- 1 კვირის პროგრამა
- კვირა—სადამო წარმოდგენა.
- ორშაბათი—ოპერა. მუსიკა
- სამშაბათი—საოჯახო სადამო
- ოთხშაბ.—სინემოტოგრაფ. სიმებ. ორკ.
- ხუთშაბ.—ქართ. წარმოდგენა. მუსიკა
- პარასკ.—ოპერა.
- შაბ.—საოჯახო სადამო
- კვირა რუსული—წარმოდგენა.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი